



2016 წლის ოქტომბრის
საქართველოს პარლამენტის არჩევნები

წინასაარჩევნო მონიტორინგის პირველი შუალედური ანგარიში

(15 ივლისი-15 სექტემბერი)

თბილისი, 2016

ანგარიში მომზადდა და გამოიცა საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ მიერ, პროექტის „ხელი შეეწყოს 2016 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარებას სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური ხელშეწყობით. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საერთო-სამოქალაქო მოძრაობა ”მრავალეროვანი საქართველო” და მასში მოყვანილი შეხედულებები არ ასახავს დონორის მოსაზრებებს.



Kingdom of the Netherlands

ანგარიშის შინაარსი:

1. ძირითადი მიგნებები
2. პროექტის ფარგლებში საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ წინასაარჩევნო სადამკვირვებლო მისიის შესახებ
3. საარჩევნო ადმინისტრაცია
 - 3.1 საგანმანათლებლო პროგრამები ეთნიკური უმცირესობებისათვის
 - 3.2 ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე ნათარგმნი საარჩევნო მასალები
 - 3.3 ცეკოს-ს სატელეფონო ცენტრი
 - 3.4 საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება
 - 3.5 საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ტრენინგები
 - 3.6 საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის პროცესი
 - 3.7 საარჩევნო სუბიექტების მიერ საქართველოს პარტლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის წარდგენილ საარჩევნო სიებში ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა შემადგენლობა
4. წინასაარჩევნო დაკვირვებისას გამოვლენილი ინციდენტები
 - ფიზიკური დაპირისპირება
 - აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის
 - აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის
 - ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნით
 - ინსტიტუციონალური ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნით
 - ინსტიტუციონალური ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენება საარჩევნო მიზნით
 - წინასაარჩევნო კამპანიისთვის/საქმიანობისთვის სავარაუდო ხელის შეშლა
 - ამომრჩეველთა მოსყიდვა
5. რეკომენდაციები

1. ძირითადი მიგნებები:

საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლები წინასაარჩევნო მონიტორინგს საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 3 ოლქსა (#35 და #36 მარნეულის, ასევე #46 ნინოწმინდა-ახალქალაქის საარჩევნო ოლქები) და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ახორციელებენ.

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცენტრალური საარჩევნო კომისია აქტიურად იყო დაკავებული საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელებაში; ეთნიკური უმცირესობების ამომრჩევლების, უმცირესობებით დაკომპლექტებული საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო ტრენინგების ჩატარებით. ცესკოში შეიქმნა სატელეფონო საინფორმაციო ცენტრი, სადაც შესაძლებელია საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე;
- 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით საარჩევნო გარემო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამოირჩევა თავისუფლების უფრო მაღალი ხარისხით, რაც თავის მხრივ შესაძლებლობებს იძლევა უფრო მეტმა პოლიტიკურმა სუბიექტმა აწარმოოს საარჩევნო კამპანია შედარებით თავისუფალ, სამართლიან და კონკურენტუნარიან გარემოში.
- მონიტორინგის არეალში დარეგისტრირებულია და არჩევნებში მონაწილეობას იღებს პარტიული სიით 12 საარჩევნო სუბიექტი და მაჟორიტარობის 25 კანდიდატი. სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი საარჩევნო მაჟორიტარობის კანდიდატებიდან 17 არის ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული პირი.
- საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისაგან განსხვავებით, საარჩევნო გარემო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის გამოირჩევა გამოვლენილი ელექტორალური ხასიათის დარღვევების ნაკლები სამართლებრივი სიმძიმით, ისევე როგორც დარღვევების დაბალი სიხშირით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ორგანიზაციამ გამოავლინა ფიზიკური დაპირისპირების 2 ფაქტი, აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენების 7 ფაქტი, აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების 1 ფაქტი, ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების 1

ფაქტი, ინსტიტუციონალური ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების 1 ფაქტი, ინსტიტუციონალური ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენების 1 ფაქტი, წინასაარჩევნო კამპანიისთვის/საქმიანობისთვის სავარაუდო ხელშეშლის 1 ფაქტი და ამომრჩეველთა მოსყიდვის 1 ფაქტი.

2. პროექტის ფარგლებში საერთო-სამოქალაქო მოძრაობა “მრავალეროვანი საქართველოს“ წინასაარჩევნო სადამკვირვებლო მისიის შესახებ

2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებზე დაკვირვება „მრავალეროვანმა საქართველომ“ 15 ივლისს დაიწყო. ორგანიზაცია წინასაარჩევნო გარემოს აკვირდება საქართველოს 2 რეგიონში 4 გრძელვადიანი დამკვირვებლის საშუალებით, კერძოდ ქვემო ქართლსა (მარნეული) და სამცხე-ჯავახეთში (ნინოწმინდა, ახალქალაქი). ორივე რეგიონი და შესაბამისად 3 საარჩევნო ოლქი, შერჩეულია ორგანიზაციის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე - ამ მუნიციპალიტეტებში ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად არიან წარმოდგენილი.

ორგანიზაციის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა გაიარეს სპეციალური ტრენინგები. მათ მიეცათ შესაბამისი ინსტრუქციები, რათა სრულყოფილად განეხორციელებინათ დაკისრებული მოვალეობა. „მრავალეროვანი საქართველოსთვის“ მნიშვნელოვანია ფაქტების მოძიებისა და გადამოწმების პროცესში მოახდინოს ინფორმაციის სისწორის დადგენა საარჩევნო პროცესებში ჩართული სხვადასხვა მონაწილე მხარეებისა და მიუკერძოებელი წყაროების საშუალებით.

წინასაარჩევნო დაკვირვების დროს გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ დაიფარა შემდეგი საკითხები:

- საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა, მათი ფორმირება-დაკომპლექტების მიმდინარეობა, ამომრჩეველთა სიების გადამოწმების პროცესი;
- ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში;
- ინფორმაცია პოლიტიკური პარტიებისა და მაჟორიტარობის კანდიდატების შესახებ;
- წინასაარჩევნო კამპანია და მედია;
- კანონის დარღვევის/ზეწოლის ფაქტები;

ორგანიზაცია საქართველოს 2 რეგიონის წინასაარჩევნო დაკვირვების გარდა, ასევე ახორციელებს მონიტორინგს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მუდმივი წარმომადგენლის მეშვეობით. ასევე, ცენტრალური ოფისი ჩართულია ქვეყანაში

წინასაარჩევნოდ მიმდინარე ყველა პროცესში და მონაწილეობას ღებულობს იმ აქტივობებში, რაც ხორციელდება არჩევნებში ჩართული მხარეების მიერ.

3. საარჩევნო ადმინისტრაცია

3.1 საგანმანათლებლო პროგრამები ეთნიკური უმცირესობებისათვის

მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ოფიციალურად დაინიშნა პარლამენტის არჩევნები, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კიდევ უფრო გააძლიერა სხვადასხვა საქმიანობები არჩევნების სამართლიან და პროფესიონალურ გარემოში ჩატარების მიზნით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ასევე გასწია სამუშაოები ეთნიკური უმცირესობების ამომრჩევლების ინფორმირებისა თუ თავად ეთნიკური უმცირესობებით დაკომპლექტებული საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების კუთხით. შესაბამისი საგანმანათლებლო ტრენინგები ჩაუტარდა არა მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, არამედ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებს და რაც მისასალმებელია, რიგი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, კერძოდ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდა ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის საქართველოს მასშტაბით.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ამომრჩეველთა ცნობიერების და სამოქალაქო ჩართულობის ამაღლების მიზნით, ცესკოსთან არსებული სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი 2010 წლიდან კონკურსის წესით გასცემს გრანტებს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე. გრანტის გაცემის წესის შესაბამისად, ცესკო ყოველწლიურად განსაზღვრავს საგრანტო კონკურსის ფარგლებში დასაფინანსებელ მიმართულებებს.

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის საგრანტო კონკურსების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობებს მიკუთვნებულ ამომრჩეველთა მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში. საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული 8 პროექტი მოიცავს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს.

3.2 ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე ნათარგმნი საარჩევნო მასალები

2016 წლის 8 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებისთვის, ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხური და აზერბაიჯანული) ითარგმნება სხვადასხვა სახის საარჩევნო დოკუმენტაცია. კერძოდ, აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ითარგმნა შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაცია: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია, ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს, ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები, საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები და გადასატანი საარჩევნო ყუთის თანხლები კომისიის წევრის ფუნქციები. ასევე, მომზადდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“ სუბტიტრებიტით.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ითარგმნა ცესკოს სარეკლამო რგოლები, რომელიც განთავსდა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების ტელევიზიების ეთერში. ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ამომრჩეველებისათვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

3.3 ცეკოს-ს სატელეფონო ცენტრი

ისევე, როგორც წინა წლებში, ამ არჩევნებისთვისაც ცესკოში შეიქმნა სატელეფონო ოპერატორების ცენტრი, რომელიც ამომრჩეველს აწვდის საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომლის მიღებაც შესაძლებელია როგორც ქართულ, ასევე სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. ცენტრში დასაქმებულია ეთნიკური უმცირესობების ენებზე მოსაუბრე ოპერატორები.

3.4 საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება

„მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლების ინფორმაციით საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პროცესი რიგ მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობდა ღიად და გამჭვირვალედ. ორგანიზაცია მიესალმება კომისიების მუშაობაში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის რაოდენობრივი მაჩვენებლის თუმცა აღსანიშნავია, რომ მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არცერთი წევრი არ წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობას (13 წევრიდან არცერთი ეთნიკური

უმცირესობას მიკუთვნებული პირი და 4 ქალია), განსხვავებული ვითარებაა ნინოწმინდასა (13 წევრიდან 9 ეთნიკური უმცირესობას მიკუთვნებული პირია, ხოლო 13 დან 5 ქალია) და ახალქალაქში (13 წევრიდან 8 წევრი ეთნიკური უმცირესობას მიკუთვნებული პირია, 13 დან 7 ქალია).

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, არჩეული/დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობამ შეადგინა - 47 242 წევრი. მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებს მიკუთვნებული კომისიის წევრთა საერთო რაოდენობამ საუბნო საარჩევნო კომისიებში შეადგინა - 2 719 წევრი (მათ შორის, აზერბაიჯანელი - 1349, სომეხი - 1339, ოსი - 12, რუსი - 11, ავარიელი 7, უკრაინელი - 1).

ასევე საუბნო საარჩევნო კომისიებში მარნეულში ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული პირთა რაოდენობა წარმოადგენს- 12%, ხოლო ქალების რაოდენობა - 20%. ნინოწმინდის და ახალქალაქის საუბნო საარჩევნო კომისიებში უმცირესობას მიკუთვნებული პირთა რაოდენობაა 90%, ხოლო ქალები - 25%.

3.5 საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ტრენინგები

„მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლები აკვირდებოდნენ საარჩევნო მოხელეთა ტრენინგებს. ორგანიზაცია მიესალმება ტრენერთა ძალისხმევას, მათ სათანადო მომზადებას, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ტრენინგების ჩატარებას ეთნიკური უმცირესობებისათვის გასაგებ ენებზე. აღსანიშნავია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი წევრები ინტენსიურ სასწავლო კურსს გადიან, რომელიც ხორციელდება ოთხ ეტაპად. ტრენინგის I ეტაპზე საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების არჩევის წესთან დაკავშირებით. ტრენინგის II ეტაპი დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის (13 წევრი) სწავლებას, რომელიც მოიცავდა საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას კენჭისყრის დღემდე პერიოდში და კენჭისყრის დღეს ჩასატარებელ პროცედურებს. III ეტაპი დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი) სწავლებას, სადაც განხილული იყო მათი უფლებამოსილებები. ტრენინგის IV ეტაპზე საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარდათ სიმულაციური სწავლება, რომლის შემდეგ კომისიის წევრები პრაქტიკულად განახორციელებენ კენჭისყრის დღის ეპიზოდურ ინსცენირებას.

3.6 საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის პროცესი

8 სექტემბერს დასრულდა 2016 წლის 8 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მსურველი მაჟორიტარი და პროპორციული სიით კანდიდატების რეგისტრაციისა და ხარვეზების შემთხვევაში, შესწორებების შეტანის საბოლოო ვადა.

იმ 2 რეგიონში, სადაც წინასაარჩევნო დაკვირვებას აწარმოებს ორგანიზაცია დარეგისტრირებულია და მონაწილეობას იღებენ პარტიული სიით შემდეგი საარჩევნო სუბიექტები:

#1 ბლოკი „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისათვის“

#3 ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა

#4 „ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი“:

#5 საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“:

#6 „უსუფაშვილი - რესპუბლიკელები“

#7 „თამაზ მეჭიაური - ერთიანი საქართველო“

#8 ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“:

#10 „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია

#25 „კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე - მემარცხენე ალიანსი“

#27 „ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“

#30 ჩვენი საქართველო“ (ბ. პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი)

#41 ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო

3.7 საარჩევნო სუბიექტების მიერ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის წარდგენილ საარჩევნო სიებში ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა შემადგენლობა

2016 წლის 14 სექტემბრის მონაცემებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენილი იქნა საარჩევნო სუბიექტების მიერ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის პარტიული სიები.

პარტიული სიებში ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ კანდიდატთა რაოდენობა და რიგითობა შემდეგნაირად გამოიყურება:

1. ბლოკი „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისათვის“: საარჩევნო სიაში შეყვანილია ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული 11 კანდიდატი შემდეგი რიგითობით - 18, 53, 55, 59, 66, 78, 101, 116, 137, 140, 162

2. საარჩევნო ბლოკი „ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა“: საარჩევნო სიაში შეყვანილია ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული 6 კანდიდატი შემდეგი რიგითობით - 19, 55, 137, 138, 141, 165
3. „ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი“: საარჩევნო სიაში შეყვანილია ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული 4 კანდიდატი შემდეგი რიგითობით - 43, 78, 79, 125
4. საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“: საარჩევნო სიაში შეყვანილია ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული 14 კანდიდატი შემდეგი რიგითობით - 2, 26, 31, 41, 50, 94, 96, 97, 129, 144, 149, 151, 162, 173
5. „უსუფაშვილი - რესპუბლიკელები“: საარჩევნო სიაში შეყვანილია 4 ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული კანდიდატი შემდეგი რიგითობით - 20, 28, 44, 99
6. „თამაზ მეჭიაური - ერთიანი საქართველო“: საარჩევნო სიაში შეყვანილია ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული 12 კანდიდატი შემდეგი რიგითობით - 9, 43, 63, 68, 84, 85, 89, 101, 104, 110, 116 136
7. ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“: საარჩევნო სიაში შეყვანილია ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული 8 კანდიდატი შემდეგი რიგითობით -14, 36, 37, 43, 83, 84, 94, 140
8. „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“: საარჩევნო სიაში შეყვანილია ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული 6 კანდიდატი შემდეგი რიგითობით - 61, 95, 138, 140, 148, 153
9. „კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე - მემარცხენე ალიანსი“: საარჩევნო სიაში შეყვანილია ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული 12 კანდიდატი შემდეგი რიგითობით - 45, 61, 74, 75, 83, 94, 98, 104, 106, 110, 112, 120
10. „ ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“: საარჩევნო სიაში შეყვანილია ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული 5 კანდიდატი შემდეგი რიგითობით - 20, 21, 105, 132, 181

11. „ჩვენი საქართველო“ (ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი): საარჩევნო სიაში შეყვანილია ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული 12 კანდიდატი შემდეგი რიგითობით - 4, 12, 17, 24, 25, 28, 39, 48, 62, 92

12. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“: საარჩევნო სიაში შეყვანილია ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული 10 კანდიდატი შემდეგი რიგითობით - 19, 20, 22, 23, 26, 30, 68, 85, 89, 99

საგულისხმოა ის გარემოება, რომ საარჩევნო სუბიექტების მიერ საქართველოს პარტლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის წარდგენილ საარჩევნო სიებში ეთნიკური უმცირესობების ყველაზე მაღალი წარმომადგენლობა ფიქსირდება საარჩევნო ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (14 კანდიდატი), „კახა ძაგანია, სოსო შატერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე - მემარცხენე ალიანსის“ (12 კანდიდატი), „თამაზ მეჭიაური - ერთიანი საქართველოსათვის“ (12 კანდიდატი), „ჩვენი საქართველოს“ (ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი) (12 კანდიდატი) ბლოკ „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისათვის“ (11 კანდიდატი) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (10 კანდიდატი) მიერ წარდგენილ საარჩევნო სიებში. ხოლო ყველაზე დაბალი წარმომადგენლობა ფიქსირდება „უსუფაშვილი - რესპუბლიკელების“ (4 კანდიდატი) მიერ წარდგენილ საარჩევნო სიაში.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ საარჩევნო სიის პირველ ათეულში მხოლოდ სამ სუბიექტს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (2-ე პოზიცია), „თამაზ მეჭიაური - ერთიანი საქართველო“ (9-ე პოზიცია) და „ჩვენი საქართველო“ (ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი) (4-ე პოზიცია) ჰყავთ ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული კანდიდატები წარმოდგენილი.

რაც შეეხება საარჩევნო სიის მეორე ათეულს იგი შემდეგნაირად გამოიყურება: საარჩევნო ბლოკი „ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა“ (19-ე პოზიცია), ბლოკი „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისათვის“ (18-ე პოზიცია), „უსუფაშვილი - რესპუბლიკელები“ (20-ე პოზიცია), „ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“ (20-ე პოზიცია), „ჩვენი საქართველო“ (ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი) (12 და 17-ე პოზიციები) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (19 და 20-ე პოზიციები).

ამასთან ერთად გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი 2 მსხვილი პოლიტიკური სუბიექტის, კერძოდ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა“ და „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობის“ მიერ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის წარდგენილ საარჩევნო სიებში შეინიშნება ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ კანდიდატთა რიგითობას შორის წყეტა სიის სათავესა და ბოლოში.

კერძოდ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სიის სათავეში შეყვანილი ყავს ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული კანდიდატები, რომლებიც კომპაქტურად არიან განთესილნი მე - 19, 20, 22, 23, 26, 30-ე პოზიციაზე.

ხოლო „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“ სიის სათავეში შეყვანილი ყავს ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული კანდიდატები, რომლებიც განთესილნი არიან 26 და 31-ე პოზიციაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სახეზეა პოლიტიკური სუბიექტების ძალისხმევა თავიანთ საარჩევნო სიებში წარმოდგინათ ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული კანდიდატები. მიუხედავად აღნიშნულისა, თუ მხიდველობაში მივიღებთ მათ რიგითობას, ისევე როგორც პოლიტიკური სუბიექტის მიერ წარმატების მოპოვების შანსებს (არსებული სოციოლოგიური გამოკითხვების ანალიზის შესაბამისად) შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ეთნიკური უმცირესობები მოკრძალებული ოდენობით იქნებიან წაროდდგენილნი მომავალ საკანონმდებლო ორგანოში.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებულ ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ მაჟორიტარ კანდიდატებს, აღინიშნება ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული მაჟორიტარობის კანდიდატთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, კერძოდ 2016 წლის 14 სექტემბრის მდგომარეობით 73 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულია ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული 42 კანდიდატი. აღნიშნული კანდიდატები წარდგენილია იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც მაღალია ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ამომრჩეველთა ოდენობა. ხოლო კონკრეტულად ორგანიზაციის მონიტორინგის არეალში არსებულ ოლქებში 2016 წლის 14 სექტემბრის მონაცემებით დარეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატების რაოდენობა ამგვარად გამოიყურება:

საარჩევნო ოლქი	მაჟორიტარობის კანდიდატთა რაოდენობა	ეთნიკური უმცირესობა (რაოდენობა)
მარნეული (#35)	9	5
მარნეული (#36)	8	4
ახალქალაქი-ნინოწმინდა (#46)	8	8

4. წინასაარჩევნო დაკვირვებისას გამოვლენილი ინციდენტები

ფიზიკური დაპირისპირება

#36 მარნეულის საარჩევნო ოლქი:

- 1) 22 ივლისს „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით მარნეულში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „რესპუბლიკური პარტიის“, „ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის“ და „ახალი საქართველოს“ წარმომადგენლებს შორის მოხდა სიტყვიერი შელაპარაკება, რომელიც დაგაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში. კონფლიქტი წარმოიშვა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე.

#46 ახალქალაქის საარჩევნო ოლქი:

- 2) 15 აგვისტოს „ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისათვის“ პარტიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით სოფელ სულდას რწმუნებულსა და მათი პარტიის წარმომადგენელს შორის მოხდა ფიზიკური დაპირისპირება, პარტიის პლაკატების გაკვრის გამო (რწმუნებულმა ოპოზიციური პარტიის სააგიტაციო დოკუმენტაცია (პლაკატი) ჩამოხია და ხელახალი გაკვრის საშუალებას არ აძლევდა), ამ დაპირისპირების შემდეგ რწმუნებულმა სარჩელით მიმართა სასამართლოს. მიმდინარეობს საქმის წარმოება.

აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის

#46 ახალქალაქის საარჩევნო ოლქი:

- 1) „მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებლის მიერ მოპოვებული ინფორმაციით 7 აგვისტოს ბაგა-ბაღის და სკოლის მასწავლებლები იმყოფებოდნენ „ქართული

ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ ორგანიზებულ აქციაზე ხელმძღვანელობის მოთხოვნით. მათი თქმით პირდაპირ დაშინებას ან მუქარას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიან დამკვირვებელთან არაფორმალურ საუბარში მოტივად სამუშაო ადგილის დაკარგვის შესაძლო საფრთხე დაასახელეს.

#46 ნინოწმინდის საარჩევნო ოლქი:

- 2) 2 აგვისტოს „ერთიანი ნაციონალური მორაობის“ წარმომადგენლის ზ.ჩილინგარაშვილის ინფორმაციით თანამდებობიდან გათავისუფლებულია ნინოწმინდის პოლიციის თანამშრომელი გორ გომციანი, მხოლოდ იმ მიზეზით რომ დედამისი, ლიდა ანტანოსიანი მათი შტაბის აქტივისტია. ნინოწმინდის პოლიციის იმ განყოფილებაში სადაც გომციანი მუშაობდა განაცხადეს, რომ მან თავად დაწერა განცხადება წასვლის შესახებ. თვით გორ გომციანი კომენტარის გაკეთებისაგან თავს იკავებს.

#35 მარნეულის საარჩევნო ოლქი:

- 3) 7 აგვისტოს ბლოკი „ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის“ რაიონული ოფისის თავმჯდომარე ი.ბაირამოვის ინფორმაციით მათ აქტივისტებზე (სოფ. შულავერი და დამია-გიურარხში) მიმდინარეობს ზეწოლა-დაშინება სოფლის რწმუნებულისა და გამგეობის თანამშრომლების მხრიდან. (დაშინების ფორმა-დაპატიმრება სხვადასხვა მოტივით). სოფლის რწმუნებული კომენტარს არ აკეთებს.
- 4) 16 აგვისტოს საარჩევნო ბლოკ „გოგი თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლოს“ საარჩევნო სიაში წარმოდგენილი პირის ფ.ხალილოვის ინფორმაციით მათ აქტივისტს (ქალბატონს) ემუქრებიან სამსახურიდან დათხოვნით (მასწავლებელია სოფელ ქურთლიარში), თუ არ დაანებებს თავს ამ პარტიაში მოღვაწეობას. მიუხედავდ იმისა რომ ქალბატონის სახელი და გვარი ცნობილია, მისი გასაჯაროებისაგან პირადი თხოვნის საფუძველზე თავს ვიკავებთ.
- 5) „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატის ა.იმამყულიევის ინფორმაციით 31 აგვისტოს სოფელ დამია გიურარხში მის აქტივისტების და ნათესავების მიმართ განხორციელდა ზეწოლა-დაშინება მიწების ჩამორთმევის მუქარით თუ თავს არ დაანებებენ საქმიანობას (აქტივისტობას). ეს მუქარა

ხორციელდება საკრებულოს დეპუტატის მამედ მამედოვის მხრიდან. მისი თქმით ჩამორთმეულ მიწებს დაურიგებენ მათ ვინც მხარს დაუჭერს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“. მსგავს ფაქტს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შტაბში არ ადასტურებენ, თუმცა მოსახლეობა პირად საუბარში ზემოაღნიშნული საუბრის ფაქტს ადასტურებს.

#36 მარნეულის საარჩევნო ოლქი:

6) ა.სულეიმანოვის განცხადებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები სოფლებში სადახლო, კაპანახჩი, ქურთლიარი და კირიხლო განიცდიან ზეწოლა-მუქარას სკოლის დირექტორებისა და სოფლის რწმუნებულების მხრიდან, რაც გამოიხატება მათი ნათესავებისა და ოჯახის წევრების სამსახურებიდან განთავისუფლების მუქარაში თუ არ შეწყვეტენ აქტიურ საქმიანობას „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობაში“. დირექტორები უარყოფენ მსგავს ფაქტს, ხოლო რწმუნებულები კომენტარს არ აკეთებენ.

#35 მარნეულის საარჩევნო ოლქი:

7) 26 ივლისს საარჩევნო ბლოკ „გოგი თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლოს“ საარჩევნო სიაში წარმოდგენილმა პირმა ფ.ხალილოვმა „მრავალეროვან საქართველოს“ გრძელვადიან დამკვირვებელს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო განყოფილების თანამშრომელმა მარნეული-თბილისი სამარშრუტო ხაზზე მომუშავე მძღოლებს აუკრძალა პარტია „ჩვენი სამშობლოს“ მხრიდან დაკვეთის მიღება. თავად მძღოლები მათთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებენ.

აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის

#46 ნინოწმინდის საარჩევნო ოლქი:

„მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით, 7 აგვისტოს გაიმართა მასშტაბური აქცია ნინოწმინდაში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ორგანიზებით, მათ მხარდამჭერები მიჰყავდათ ახალციხეში ამომრჩეველთათვის მათი კანდიდატის წარდგენის მიზნით, თუმცა აქციაზე იყვნენ სკოლისა და ბაღის მასწავლებლები, რომლებიც უკმაყოფილებას

გამოთქვამდნენ იმ მიზეზით, რომ მათი სურვილის საწინააღმდეგოდ მივიდნენ აქციაზე; ისინი იძულებულნი იყვნენ მოსულიყვნენ სამუშაო ადგილის დაკარგვის შიშით.

ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნით

#46 ახალქალაქის საარჩევნო ოლქი:

ივლისის ბოლოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტმა მიიღო დამატებით დაახლოებით 6 000 000 ლარამდე ქონებრივი გადასახადების სახით, რის გამოც 5 აგვისტოს ახალქალაქის საკრებულომ დაამტკიცა ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები დამატებით გადმორიცხული თანხების გამო (5 500 000 ლარი გადასახადებისგან შემოსული თანხა) რომელიც, მოხმარდება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომელთა განხორციელება დაგეგმილია როგორც მიმდინარე ასევე მომავალ წელს. თუმცა აღსანიშნავია რომ მსგავსი ოდენობით ბიუჯეტის ცვლილება არ მომხდარა, მითუმეტეს არასაარჩევნო წლებში.

ინსტიტუციონალური ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნით

#46 ნინოწმინდის საარჩევნო ოლქი:

„მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით, 22 აგვისტოს დღის 12 საათზე ნინოწმინდაში გაიმართა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ აქცია რომელსაც ესწრებოდა პრემიერ მინისტრი, ასევე გამგეობის თანამშრომლები, განათლების რესურს ცენტრის უფროსი, სკოლების დირექტორები და მასწავლებლები. აქცია ტარდებოდა სამუშაო საათებში.

ინსტიტუციონალური ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენება საარჩევნო მიზნით

#35 მარნეულის საარჩევნო ოლქი:

„მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით, მარნეულის კოლეჯში, სადაც სწავლება ფასიანია, სექტემბრიდან დაიწყო 4 თვიანი პროფესიული გადამზადების (3 სპეციალობით) კურსები, რომელიც ხორციელდება განათლების სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. აღსანიშნავია რომ მსგავსი პროგრამის განხორციელება არასაარჩევნო წლებში არ მომხდარა და არც დაწყებამდე არ იყო ცნობილი ამ პროგრამის შესახებ.

წინასაარჩევნო კამპანიისთვის/საქმიანობისთვის სავარაუდო ხელის შეშლა

#46 ახალქალაქის საარჩევნო ოლქი:

როგორც „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიან დამკვირვებელს მიაწოდეს ინფორმაცია 18 აგვისტოს ბლოგი „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისათვის“ შტაბიდან მათ აქტივისტებს მმართველი პარტიის წარმომადგენლები და აქტივისტები ხელს უშლიან და უკრძალავენ პარტიის დროშებით გადაადგილებას ტრანსპორტით, წინააღმდეგ შემთხვევაში შეექმნებათ პრობლემები. ამ ფაქტს უარყოფენ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შტაბში. „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისათვის“ წარმომადგენლის განმარტებით განმეორებით ფაქტს ადგილი არ ქონია.

ამომრჩეველთა მოსყიდვა

#35 მარნეულის საარჩევნო ოლქი:

„მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით 22 აგვისტოს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შტაბის გახსნის შემდეგ შტაბისა და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატის ოფისის გვერდით გაიხსნა „ჩაი-ხანა“, რომელიც მოსახლეობას უმასპინძლდება უფასო ჩაით, ცნობილი არაა ჰქონდათ თუ არა აღებულნი ნებართვა თვითმმართველობიდან. მოსახლეობის ინფორმაციით ჩაით მათ უმასპინძლდება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატი თ.ნავერიანი.

5. რეკომენდაციები

- 1) ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა და დამრღვევ პირთა მიმართ გაატაროს დროული და ადეკვატური პასუხისმგებლობის ზომები.
- 2) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა აღკვეთონ სამუშაო საათებში საჯარო მოსამსახურეების მიერ აგიტაციის გაწევა რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის სასარგებლოდ. ასევე, მათ უნდა უზრუნველყონ პოლიტიკური მიუკერძოებლობის დაცვა და შესაბამისად არ დაუშვან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო, თუ ადამიანური რესურსების გამოყენება პარტიული მიზნებისათვის; ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოების ხელმძღვანელმა პირებმა უზრუნველყონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული სჯარო მოხელეებისათვის საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება.

- 3) წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტებმა და მათმა წარმომადგენლებმა თავი შეიკავონ აგიტაციის იმგვარი ფორმისგან, რომელიც შეიცავს ამომრჩეველთა მოსყიდვის ნიშნებს. გარდა აღნიშნულისა, საარჩევნო სუბიექტებმა და მათმა წარმომადგენლებმა საარჩევნო კამპანიის წარმართვის პროცესში თავი შეიკავონ გამოხატვის იმგვარი ფორმისგან, რომლებიც ლახავენ ადამიანთა უფლებებს, ისევე როგორც უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ მათ ეთნიკურ, რელიგიურ, სოციალურ, გენდერულ თუ სხვა სახის კუთვნილებას.